

## ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 14

### გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები

#### მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია მოთხოვნების დადგენა *გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების* ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისთვის, რომლებიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო მომხმარებლებს საქონელს ან მომსახურებას აწვდის ისეთი ფასით ან ტარიფით, რომელიც *სატარიფო რეგულირების* საგანია.
2. ამ მიზნის მისაღწევად სტანდარტი მოითხოვს:
  - ა) გარკვეული სახის ცვლილებების შეტანას სააღრიცხვო პოლიტიკაში, რომელსაც საწარმო მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების (*ადრინდელი GAAP*) შესაბამისად იყენებდა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მიმართ, რაც, ძირითადად, ეხება ამგვარი ანგარიშების წარდგენის წესს ანგარიშგებაში; და
  - ბ) ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებას:
    - (i) სადაც იდენტიფიცირებული და ახსნილია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში სატარიფო რეგულირების შედეგად აღიარებული თანხები; და
    - (ii) რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ეხმარება, წარმოდგენა შეიქმნან გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშზე აღიარებული ნაშთებიდან წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, მათი წარმოქმნის ვადებისა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესახებ.
3. საწარმოს, რომელიც განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს, სტანდარტის მოთხოვნები უფლებას აძლევს, ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებისას, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში გააგრძელოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად, სააღრიცხვო პოლიტიკაში შეზღუდული ცვლილებების შეტანის პირობით, რის შესახებაც მითითებულია ზემოთ, მე-2 პუნქტში.
4. გარდა ამისა, წინამდებარე სტანდარტი ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისს სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებისთვის, ან სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებისგან განთავისუფლებას. ყველა დადგენილი მოთხოვნა, რომელიც ეხება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების ანგარიშგებაში წარდგენას, ასევე ამგვარ ნაშთებთან დაკავშირებული სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაში გამონაკლისებს, ან სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებისგან განთავისუფლებას, შეტანილია მოცემულ სტანდარტში და არა ზემოაღნიშნულ სხვა სტანდარტებში.

#### მოქმედების სფერო

5. საწარმოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აქვს *ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში* წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების გამოყენების უფლება, თუ:
  - ა) ისეთ *საქმიანობას* ახორციელებს, რომელიც *ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას*; და
  - ბ) წინათ აღიარებდა ისეთ თანხებს, რომლებიც მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კვალიფიცირდებოდა, როგორც გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები.
6. საწარმომ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები მომდევნო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ მან ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები და ამისთვის არჩია წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების გამოყენება.

7. მოცემულ სტანდარტში განხილული არ არის იმ საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სხვა ასპექტები, რომლებიც ახორციელებენ სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას. წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების გამოყენებისას, თანხები, რომელთა აღიარება აქტივებად ან ვალდებულებებად ნებადართულია ან მოითხოვება სხვა სტანდარტებით, არ უნდა ჩაირთოს იმ თანხებში, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები.
8. საწარმომ, რომელიც განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს და გადაწყვეტს მის გამოყენებას, უნდა გამოიყენოს ამ სტანდარტის ყველა მოთხოვნა საწარმოს ნებისმიერი ისეთი საქმიანობიდან წარმოქმნილი გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა ნაშთის მიმართ, რომელიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას.

### აღიარება, შეფასება, გაუფასურება და აღიარების შეწყვეტა

**დროებითი განთავისუფლება ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – მე-11 პუნქტის მოთხოვნების შესრულებისგან**

9. საწარმომ, რომელიც ახორციელებს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას, განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს და გადაწყვეტს მის გამოყენებას, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის მე-10 და მე-12 პუნქტები.
10. ბასს 8-ის მე-11-12 პუნქტებში განსაზღვრულია იმ მოთხოვნებისა და მითითებების წყაროები, რომელთა გათვალისწინებაც ხელმძღვანელობას მოეთხოვება, ან რომელთა გათვალისწინების უფლებაც აქვს ამა თუ იმ მუხლისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას, თუ არ არსებობს კონკრეტულად მოცემული მუხლისთვის შესაფერისი სტანდარტი. წინამდებარე სტანდარტი საწარმოს ანთავისუფლებს ბასს 8-ის მე-11 პუნქტის გამოყენების მოთხოვნისგან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმართ, რომელიც ეხება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარებას, შეფასებას, გაუფასურებასა და აღიარების შეწყვეტას. მაშასადამე, საწარმომ, რომელიც მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად ცალკე მუხლებად ან სხვა აქტივების თუ ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნაწილის სახით აღიარებენ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებს, უფლება აქვთ, ბასს 8-ის მე-11 პუნქტის მოთხოვნებისგან განთავისუფლების მეშვეობით, ამ ნაშთების აღიარება გააგრძელონ წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, იმ პირობით, თუ ცვლილებებს შეიტანენ ამ ნაშთების წარდგენის წესში წინამდებარე სტანდარტის მე-18-19 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

**არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გაგრძელება**

11. წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველად გამოყენებისას, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის მიმართ საწარმომ უნდა გააგრძელოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება, გარდა მე-13-15 პუნქტებში აღწერილი ნებადართული შემთხვევებისა. თუმცა, ამგვარი თანხების წარდგენა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებულ წარდგენის მოთხოვნებს, რისთვისაც შეიძლება აუცილებელი გახდეს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრული წარდგენის პოლიტიკის შეცვლა (იხ. მე-18-19 პუნქტები).
12. საწარმომ მე-11 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პოლიტიკა მომდევნო პერიოდებშიც უცვლელად უნდა გამოიყენოს, მე-13-15 პუნქტებში აღწერილი ნებადართული შემთხვევების გარდა.

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

13. საწარმომ არ უნდა შეცვალოს თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების დაწყების მიზნით. საწარმოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის უფლება, თუ ამ ცვლილების შედეგად ფინანსური ანგარიშგება უფრო მეტად შესაბამისი გახდება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მომხმარებლების მოთხოვნილებების და არ გახდება ნაკლებად საიმედო<sup>1</sup>, ან გახდება უფრო საიმედო და არანაკლებ შესაბამისი უწინდელთან შედარებით. საწარმომ ამ მოთხოვნილებებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობასა და საიმედოობაზე უნდა იმსჯელოს ბასს 8-ის მე-10 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
14. წინამდებარე სტანდარტი საწარმოს არ ანთავისუფლებს ბასს 8-ის მე-10 ან მე-14-15 პუნქტების გამოყენებისგან სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლასთან მიმართებით. იმისათვის, რომ დაასაბუთოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებისთვის დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა, საწარმომ თვალნათლივ უნდა აჩვენოს, რომ ცვლილების შედეგად მისი ფინანსური ანგარიშგება უფრო მეტად დააკმაყოფილებს ბასს 8-ის მე-10 პუნქტში მითითებულ კრიტერიუმებს. თუმცა, აუცილებელი არ არის, რომ ამ კრიტერიუმებთან სრული შესაბამისობა იყოს მიღწეული გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის საკითხში.
15. მე-13-14 პუნქტები ეხება როგორც წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენებისას, ისე მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში განხორციელებულ ცვლილებებს.

### ურთიერთქმედება სხვა სტანდარტებთან

16. ყველა კონკრეტული გამოწვევის, განთავისუფლება ან დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც ეხება წინამდებარე სტანდარტის სხვა სტანდარტებთან ურთიერთქმედებას, შეტანილია წინამდებარე სტანდარტში (იხ. პუნქტები 87–828). თუ არ არსებობს ამგვარი გამოწვევის, განთავისუფლება ან დამატებითი მოთხოვნები, საწარმომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მიმართ სხვა სტანდარტები ისევე უნდა გამოიყენოს, როგორც სხვა სტანდარტების შესაბამისად აღიარებული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ იყენებს.
17. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს სხვა სტანდარტის გამოყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთის მიმართ, რომელიც საწარმოს შეფასებული აქვს მე-11-12 პუნქტების მიხედვით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რათა ეს ნაშთი სათანადოდ აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად, საწარმო შეიძლება უცხო ქვეყანაში ახორციელებდეს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას და მასთან დაკავშირებული ოპერაციები და გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები გამოსახული არ იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამუშაო ვალუტაში. გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები და მათი მოძრაობის/ცვლილებების გადაყვანა სამუშაო ვალუტაში მოხდება ბასს 21-ის – „*უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*“ – გამოყენებით.

1. 2010 წელს ბასსს-მა ბასსს-ის მიერ გამოცემული *ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები (სტრუქტურული საფუძვლები)*, რომელიც ბასსს-მა აღიარა 2001 წელს, შეცვალა *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით (კონცეპტუალური საფუძვლები)*. ტერმინი „სამართლიანი წარდგენა“, რომელიც გამოიყენებოდა 2010 წელს გამოცემულ *კონცეპტუალურ საფუძვლებში* და ისევ გამოიყენება 2018 წელს გამოცემული *კონცეპტუალური საფუძვლების* გადასინჯულ ვერსიაში, მოიცავს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებსაც *სტრუქტურულ საფუძვლებში* ეწოდებოდა „საიმედოობა“. წინამდებარე სტანდარტის მე-13 პუნქტის მოთხოვნები ეყრდნობა ბასს 8-ის მოთხოვნებს, სადაც შენარჩუნებულია ტერმინი „საიმედო“.

## წარდგენა

### ცვლილებები წარდგენის წესში

18. წინამდებარე სტანდარტის მე-20-26 პუნქტებში განსაზღვრულია მე-11-12 პუნქტების შესაბამისად აღიარებული გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების წარდგენის მოთხოვნები. მოცემული სტანდარტის გამოყენებისას, სხვა სტანდარტების შესაბამისად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, საწარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებსაც აღიარებს. წარდგენის ეს მოთხოვნები გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარებით გამოწვეულ გავლენას გამოაცალკეებს სხვა სტანდარტების მოთხოვნებისგან, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების წარდგენას.

19. იმ მუხლების გარდა, რომელთა წარდგენაც ბასს 1-ით – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ – მოითხოვება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში), საწარმომ, რომელიც წინამდებარე სტანდარტს იყენებს, ასევე უნდა წარადგინოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა ნაშთი და ამ ნაშთების მოძრაობა 20-26-ე პუნქტების შესაბამისად.

### გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების კლასიფიცირება

20. საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე მუხლების სახით უნდა წარადგინოს:

- ა) გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა სადებეტო ნაშთის ჯამური თანხა; და
- ბ) გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა საკრედიტო ნაშთის ჯამური თანხა.

21. როდესაც საწარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დამოუკიდებელი საკლასიფიკაციო მუხლების სახით წარადგენს მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებს, ასევე მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებს, მან არ უნდა მოახდინოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების ჯამური თანხების კლასიფიცირება მოკლევადიან ან გრძელვადიან მუხლებად. ამის ნაცვლად, მე-20 პუნქტით მოთხოვნილი განცალკევებული მუხლები უნდა გაიმიჯნოს სხვა სტანდარტების შესაბამისად წარდგენილი აქტივებისა და ვალდებულებებისგან შუალედური ჯამური თანხების გამოყენებით, რომლებიც უნდა განთავსდეს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების პოზიციამდე.

### გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობის კლასიფიცირება

22. საწარმომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა სრული შემოსავალი“ ნაწილში უნდა წარადგინოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა ისეთი ნაშთის წმინდა მოძრაობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელიც დაკავშირებულია სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში აღიარებულ მუხლებთან. საწარმომ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე მუხლების სახით უნდა წარადგინოს ისეთ მუხლებთან დაკავშირებული წმინდა მოძრაობა, რომლებიც სხვა სტანდარტების შესაბამისად:

- ა) შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში; და
- ბ) რომლებიც შემდგომში რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

23. საწარმომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „მოგება ან ზარალი“ ნაწილში, ან განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ცალკე მუხლის სახით უნდა წარადგინოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა ნაშთის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოძრაობის დარჩენილი ნაწილი, იმ მოძრაობების გარდა, რომლებიც არ აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორცაა, მაგალითად შეძენილი თანხები. ზემოაღნიშნული განცალკევებული მუხლი, შუალედური ჯამური თანხის მეშვეობით, გამოყოფილი უნდა იყოს სხვა სტანდარტების შესაბამისად წარდგენილი შემოსავლისა და ხარჯებისგან, რომლებიც განთავსებული იქნება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების წმინდა მოძრაობის პოზიციამდე.

24. როდესაც საწარმო გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების შედეგად აღიარებს გადავადებულ საგადასახადო აქტივს ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას, მან ზემოაღნიშნული გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება) ან ამ საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) შესაბამისი მოძრაობა უნდა წარადგინოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის შესაბამის ნაშთებთან, ან ამ ნაშთების მოძრაობასთან ერთად და არა იმ ჯამური თანხის შემადგენლობაში, რომელიც წარდგენილია ბასს 12-ის – „მოგებიდან გადასახადები“ – შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივების (ვალდებულებების) და საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) პოზიციაში (იხ. პუნქტები 29–32).
25. თუ საწარმო ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – შესაბამისად წარადგენს შეწყვეტილ ოპერაციას ან გამსვლელ ჯგუფს, საწარმომ მასთან დაკავშირებული გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები და ამ ნაშთების წმინდა მოძრაობა (თუ არსებობს) უნდა წარადგინოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებსა და ამ ნაშთების წმინდა მოძრაობასთან ერთად და არა გამსვლელი ჯგუფის ან შეწყვეტილი ოპერაციის შემადგენლობაში (იხ. პუნქტები 31–32).
26. თუ საწარმო წარადგენს აქციაზე შემოსავლის მაჩვენებელს ბასს 33-ის – „შემოსავალი აქციაზე“ – შესაბამისად, საწარმომ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლებისთვის უნდა წარადგინოს დამატებითი მაჩვენებლები, რომლებიც გამოთვლილი იქნება ბასს 33-ით მოთხოვნილი შემოსავლების თანხების გამოყენებით, მაგრამ არ მოიცავს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობას (იხ. პუნქტები 33–34).

## განმარტებითი შენიშვნები

### მიზანი

27. საწარმომ, რომელიც გადაწყვეტს წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას, განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ:
- სატარიფო რეგულირების რეჟიმის ხასიათი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ფასი (ფასები), რომლის დაწესებაც საწარმომ შეუძლია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ საქონელზე ან მომსახურებაზე, ასევე სატარიფო რეგულირების მოცემულ რეჟიმთან დაკავშირებული რისკები; და
  - სატარიფო რეგულირების რეჟიმის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.
28. თუ საწარმო 30-36-ე პუნქტებში მითითებული რომელიმე ინფორმაციის გამჟღავნებას 27-ე პუნქტში აღწერილი მიზნის მიღწევისთვის რელევანტურად არ მიიჩნევს, ეს ინფორმაცია შეიძლება არ აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. თუ 30-36-ე პუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისი არ არის 27-ე პუნქტში აღწერილი მიზნის მისაღწევად, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.
29. 27-ე პუნქტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი:
- ინფორმაციის დეტალიზების დონე, რაც აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესასრულებლად;
  - რამდენად უნდა დაუთმოს ყურადღება თითოეულ განსხვავებულ მოთხოვნას;
  - რამდენად აგრეგირებული ან დეზაგრეგირებული უნდა იყოს ინფორმაცია; და
  - ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დასჭირდებათ თუ არა დამატებითი ინფორმაცია, გამჟღავნებული რაოდენობრივი ინფორმაციის შესაფასებლად

### სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობების ახსნა

30. იმისთვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს მიერ განხორციელებული ისეთი საქმიანობების ხასიათისა და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში, რომლებიც სატარიფო რეგულირებას ექვემდებარება, საწარმომ სატარიფო რეგულირებას დაქვე-

მდებარებული თითოეული ტიპის საქმიანობის მიხედვით უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბის, ასევე ტარიფების დადგენის მარეგულირებელი პროცესის არსის მოკლე აღწერა;
- ბ) ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს (ორგანოების) დასახელება. თუ ტარიფების მარეგულირებელი ორგანო დაკავშირებული მხარეა (ბასს 24-ში – „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ – მოცემული განმარტების მიხედვით), საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ამავე დროს ახსნას, როგორ არის ეს ორგანო მასთან დაკავშირებული;
- გ) როგორ ზემოქმედებს რისკები და განუსაზღვრელობა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთების თითოეული კატეგორიის (ე.ი. თითოეული ტიპის დანახარჯის ან შემოსავლის) შემდგომ ანაზღაურებაზე, ან გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის საკრედიტო ნაშთების თითოეული კატეგორიის აღდგენაზე, მაგალითად:
  - (i) მოთხოვნის რისკი (მაგალითად, მომხმარებლების დამოკიდებულების შეცვლა საქონლის ან მომსახურების მიმართ, მიწოდების ალტერნატიული წყაროების არსებობა ან კონკურენციის დონე);
  - (ii) ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული რისკი (მაგალითად, ტარიფის დადგენის განაცხადის წარდგენა ან დამტკიცება, ან საწარმოს მიერ ჩატარებული ანალიზი და შეფასება, რომელიც ეხება მარეგულირებელი ორგანოს მოსალოდნელ მომავალ ქმედებებს); და
  - (iii) სხვა რისკები (მაგალითად, სავალუტო და სხვა საბაზრო რისკები).

31. ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც სავალდებულოა 30-ე პუნქტის თანახმად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს უშუალოდ განმარტებით შენიშვნებში ან გაერთიანებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგებიდან სხვა დოკუმენტზე მითითების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობის კომენტარები ან ანგარიში რისკების შესახებ, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია ისეთივე პირობებითა და იმავე დროს, როგორც თვითონ ფინანსური ანგარიშგება. თუ ეს ინფორმაცია არ აისახება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში ან სხვა დოკუმენტზე მითითებით, ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილი არ იქნება.

**აღიარებული თანხების ახსნა**

32. საწარმომ უნდა განმარტოს ის საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარება ან აღიარების შეწყვეტა, ასევე როგორ ხდება ამ ნაშთების შეფასება თავდაპირველად და შემდგომში, მათ შორის, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების ანაზღაურების შესაძლებლობის შეფასება და გაუფასურების ზარალის განაწილება.

33. საწარმომ სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული თითოეული ტიპის საქმიანობის მიხედვით, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების თითოეული კატეგორიისთვის უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება ცხრილის სახით, თუ რომელიმე სხვა ფორმატის გამოყენება უფრო მიზანშეწონილი არ არის. საწარმომ უნდა მიმართოს განსჯას ინფორმაციის დეტალიზაციის აუცილებელი დონის დასადგენად (იხ. 28–29-ე პუნქტები), თუმცა, როგორც წესი, ამ მიზნისთვის შესაფერისი იქნება შემდეგი კომპონენტები:
  - (i) თანხები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდში აღიარებულია, როგორც გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები;
  - (ii) თანხები, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) იმ ნაშთებთან დაკავშირებით, რომლებიც ანაზღაურდა (ზოგჯერ უწოდებენ, ამორტიზებულს/ჩამოწერილს), ან აღდგა მიმდინარე პერიოდში; და

- (iii) სხვა თანხები - ცალ-ცალკე, რომლებმაც გავლენა იქონია გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებზე, როგორცაა გაუფასურება, საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში შეძენილი ან მიღებული მუხლები, გასული მუხლები, ან სავალუტო კურსების ან დისკონტირების განაკვეთების ცვლილებების გავლენა;
- ბ) ფულის დროითი ღირებულების ასახვის მიზნით გამოყენებული უკუგების განაკვეთი ან დისკონტირების განაკვეთი (მათ შორის ნულოვანი განაკვეთი ან, როდესაც მისაღებია, განაკვეთების დიაპაზონი), გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების თითოეული კატეგორიის მიხედვით; და
- გ) დარჩენილი პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც საწარმო ვარაუდობს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთების თითოეული კატეგორიის საბალანსო ღირებულების ანაზღაურებას (ანუ ჩამოწერას), ან გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის საკრედიტო ნაშთების თითოეული კატეგორიის აღდგენას.
34. როდესაც სატარიფო რეგულირება გავლენას ახდენს საწარმოს მოგების გადასახადის ხარჯის (შემოსავლის) სიდიდესა და წარმოქმნის ვადებზე, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რა გავლენას ახდენს სატარიფო რეგულირება აღიარებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ოდენობაზე. გარდა ამისა, საწარმომ ცალკე უნდა აჩვენოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნებისმიერი ნაშთი, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო დაბეგრასთან, ასევე ამ ნაშთის შესაბამისი მოძრაობა.
35. როდესაც საწარმო ფასს 12-ის – „*განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ*“ – შესაბამისად ინფორმაციას ამჟღავნებს ისეთ შვილობილ, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის შესახებ, რომელიც ახორციელებს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას და რომელთან მიმართებაშიც გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები აღიარდება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო და საკრედიტო ნაშთების ოდენობისა და ამ ნაშთების წმინდა მოძრაობის შესახებ, იმ საწარმოთა წილებთან მიმართებით, რომელთა შესახებაც გაამჟღავნა ზემოაღნიშნული ინფორმაცია (იხ. პუნქტები ბ25–ბ28).
36. თუ საწარმო იმ დასკვნამდე მივა, რომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთის სრულად ანაზღაურება ან აღდგენა უკვე აღარ არის შესაძლებელი, მან უნდა გაამჟღავნოს თვითონ ეს ფაქტი, მიზეზები, რატომ აღარ არის შესაძლებელი მისი ანაზღაურება ან აღდგენა, ასევე თანხა, რომლითაც შემცირდა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთი.

## დანართი ა

### ტერმინების განმარტება

ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

<p><b>ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება</b></p>	<p>პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს და ფინანსურ ანგარიშგებას ურთავს აშკარა და უპირობო განცხადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.</p>
<p><b>საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს</b></p>	<p>საწარმო, რომელიც წარადგენს <b>ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას</b>.</p>
<p><b>ადრინდელი საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები</b></p>	<p>ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი, რომელსაც უშუალოდ ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე იყენებდა <b>საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს</b>.</p>
<p><b>სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობა</b></p>	<p>საწარმოს საქმიანობის სახე, რომელიც ექვემდებარება <b>სატარიფო რეგულირებას</b>.</p>
<p><b>სატარიფო რეგულირება</b></p>	<p>ფასების დადგენის რეჟიმი, რომლის დაწესებაც შეუძლია საწარმოს მომხმარებლებისთვის მიწოდებულ საქონელზე ან მომსახურებაზე, თუ ამ რეჟიმს ზედამხედველობას უწევს ან/და ამტკიცებს <b>ტარიფების მარეგულირებელი ორგანო</b>.</p>
<p><b>ტარიფების მარეგულირებელი ორგანო</b></p>	<p>უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული აქვს ტარიფის ან ტარიფების დიაპაზონის დადგენის უფლებამოსილება, რომელიც ზღუდავს საწარმოს. <b>ტარიფების მარეგულირებელი ორგანო</b> საწარმოსთან მიმართებაში შეიძლება იყოს მესამე მხარე, ან დაკავშირებული მხარე, მათ შორის საწარმოს საკუთარი მმართველი ორგანო, თუ ამ ორგანოს კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით ევალება ტარიფების დადგენა, როგორც მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, ასევე საწარმოს საერთო ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.</p>
<p><b>გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთი</b></p>	<p>ნებისმიერი ხარჯის (ან შემოსავლის) ანგარიშის ნაშთი, რომელიც სხვა სტანდარტების შესაბამისად აღიარებას არ ექვემდებარება აქტივის ან ვალდებულების სახით, მაგრამ აკმაყოფილებს სხვა პერიოდში გადავადების კრიტერიუმებს, რადგან ის უკვე გათვალისწინებულია, ან მოსალოდნელია, რომ გათვალისწინებული იქნება <b>ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს</b> მიერ ტარიფ(ებ)ის დადგენისას/გაანგარიშებისას, რომლის (რომელთა) ამოღებაც შესაძლებელი იქნება მომხმარებლებისგან.</p>



## დანართი ბ

### მითითებები გამოყენებაზე

ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განყოფილი ნაწილია.

#### საქმიანობა, რომელიც სატარიფო რეგულირებას ექვემდებარება

- ბ1. ისტორიულად, სატარიფო რეგულირება ეხებოდა საწარმოს ყველანაირ საქმიანობას. თუმცა, ამჟამად სხვა საწარმოთა შექმნის, საწარმოთა საქმიანობის დივერსიფიკაციისა და ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირების შედეგად, სატარიფო რეგულირება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ საწარმოს საქმიანობის გარკვეულ ნაწილს და, მაშასადამე, საწარმო შეიძლება ახორციელებდეს, როგორც რეგულირებად, ისე არარეგულირებად საქმიანობას. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება მხოლოდ ისეთი ტიპის საქმიანობებთან მიმართებით, რომლებიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას და რომელთა მიმართაც გამოიყენება საკანონმდებლო ან მარეგულირებელი შეზღუდვები ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს ქმედებების მეშვეობით, საწარმოს ტიპის ან იმ დარგის მიუხედავად, რომელსაც განეკუთვნება საწარმო.
- ბ2. საწარმომ არ უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი თვითრეგულირებად საქმიანობასთან მიმართებით, ე.ი. ისეთი ტიპის საქმიანობისთვის, რომლის მიმართაც არ გამოიყენება ფასების დადგენის რეჟიმი, რომელსაც ზედამხედველობას უწევს ან/და ამტკიცებს ტარიფების მარეგულირებელი ორგანო. ეს ხელს არ უშლის საწარმოს წინამდებარე სტანდარტის გამოყენებაში იმ შემთხვევაში, როდესაც:
- ა) საწარმოს საკუთარი მმართველი ორგანო ან დაკავშირებული მხარე უდგენს ტარიფებს მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, ან საწარმოს საერთო ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ფასების დადგენის გარკვეული რეჟიმის ფარგლებში; და
  - ბ) ამგვარ რეჟიმს ზედამხედველობას უწევს ან/და ამტკიცებს სათანადო ორგანო, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული აქვს კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით.

#### არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის გაგრძელება

- ბ3. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთი აღნიშნავს ნებისმიერი ხარჯის (ან შემოსავლის) ანგარიშის ნაშთს, რომელიც სხვა სტანდარტების შესაბამისად აღიარებას არ ექვემდებარება აქტივის ან ვალდებულების სახით, მაგრამ აკმაყოფილებს სხვა პერიოდში გადავადების კრიტერიუმებს, რადგან ის უკვე გათვალისწინებულია ან მოსალოდნელია, რომ გათვალისწინებული იქნება ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს მიერ ტარიფ(ებ)ის დადგენისას/განგარიშებისას, რომლის (რომელთა) ამოღებაც შესაძლებელი იქნება მომხმარებლებისგან. რეგულირებას დაქვემდებარებული ტარიფ(ებ)ი შეიძლება არ ვრცელდებოდეს ხარჯების (შემოსავლის) ზოგიერთ მუხლზე, რადგან, მაგალითად, მოსალოდნელი არ არის, რომ ამ თანხებს დასაშვებად სცნობს ტარიფების მარეგულირებელი ორგანო, ან იმიტომ, რომ მათზე არ ვრცელდება სატარიფო რეგულირება. შესაბამისად, ამგვარი მუხლი აღიარდება, როგორც შემოსავალი, ან ხარჯი, წარმოშობისთანავე, თუ სხვა სტანდარტები უფლებას არ იძლევა, ან არ მოითხოვს, რომ ისინი აისახოს ამა თუ იმ აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში.
- ბ4. ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა სტანდარტები საწარმოს აშკარად უკრძალავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ისეთი ნაშთების აღიარებას, რომლებიც მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად შეიძლება აღიარებულიყო ან განცალკევებით, ან სხვა მუხლების, მაგალითად, ძირითადი საშუალებების, შემადგენლობაში. თუმცა, წინამდებარე სტანდარტის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საწარმო, რომელიც გადაწყვეტს ამ სტანდარტის გამოყენებას ფასს სტანდარტების შესაბამის თავის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, გამოიყენებს ბასს 8-ის მე-11 პუნქტის მოთხოვნებისგან განთავისუფლების უფლებას, რათა გააგრძელოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების

შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის მიმართ. ამგვარი სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება ითვალისწინებდეს, მაგალითად შემდეგ წესებს:

- ა) გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთის აღიარება, როდესაც საწარმოს, ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ქმედებებიდან გამომდინარე, უფლება აქვს, მომავალ პერიოდებში გაზარდოს ტარიფები, რათა აინაზღაუროს ნებადართული დანახარჯები (ე.ი. დანახარჯები, რომელთა ანაზღაურებისთვისაც არის განკუთვნილი რეგულირებას დაქვემდებარებული ტარიფები);
  - ბ) თანხის აღიარება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ან საკრედიტო ნაშთის სახით, რომელიც ეკვივალენტურია როგორც ძირითადი საშუალებების, ისე არამატერიალური აქტივების ობიექტების გასვლის ან ჩამოწერის შედეგად მიღებული ზარალის ან შემოსულობისა, რომლის ანაზღაურება ან აღდგენა მოსალოდნელია მომავალი ტარიფების მეშვეობით;
  - გ) გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთის აღიარება, როდესაც საწარმოს, ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ქმედებებიდან გამომდინარე, მოეთხოვება ტარიფების შემცირება მომავალ პერიოდებში, რათა მოხდეს ანაზღაურებული ნებადართული დანახარჯების ჭარბი ოდენობის აღდგენა (ე.ი. თანხების, რომლებიც აღემატება ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას); და
  - დ) გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების შეფასება არადისკონტირებული ან დისკონტირებული საფუძვლით, ტარიფების მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ან დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- ბ5. ქვემოთ მოყვანილია ისეთი სახის დანახარჯების მაგალითები, რომლებიც ტარიფების მარეგულირებელმა ორგანომ შეიძლება მიიჩნიოს ნებადართულ დანახარჯებად ტარიფების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და, მამასადამე, საწარმოს შეეძლება მათი აღიარება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების შემადგენლობაში:
- (i) შესყიდვების მოცულობის ან ფასის ცვლილებით გამოწვეული გადახრები;
  - (ii) დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია „მწვანე ენერჯის“ დამტკიცებულ ინიციატივასთან (კერძოდ, ამ დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც აღემატება ბასს 16-ის – „ძირითადი საშუალებები“ – შესაბამისად ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში კაპიტალიზებულ თანხებს);
  - (iii) არაპირდაპირ მიკუთვნებადი ზედნადები დანახარჯები, რომლებიც კაპიტალურ დანახარჯებად მიიჩნევა სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის (მაგრამ ბასს 16-ით ნებადართული არ არის მათი ჩართვა ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში);
  - (iv) პროექტის შეწყვეტის დანახარჯები;
  - (v) სტიქიური უბედურებით გამოწვეული დანახარჯები; და
  - (vi) პირობითი პროცენტი (მათ შორის, მშენებლობის პროცესში გამოყენებული ფინანსური სახსრების ნებადართული ოდენობა, რომელიც საწარმოს უზრუნველყოფს უკუგებით საკუთარი კაპიტალიდან, ასევე ნასესხები სახსრები).
- ბ6. გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები, როგორც წესი, ასახავს რეგულირების მიზნებისთვის შემოსავლის ან ხარჯების მუხლების აღიარებისა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის ამ მუხლების აღიარების დროში განსხვავებას. როდესაც საწარმო ცვლის თავის სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებზე გადასვლისას, ან ახალი ან გადასინჯული სტანდარტის პირველად გამოყენებისას, შეიძლება წარმოიშვას ახალი დროითი განსხვავებები/სხვაობები, ან შეიცვალოს უკვე არსებული, რაც გამოიწვევს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ახალი ნაშთების წარმოქმნას, ან უკვე აღიარებული ნაშთების ცვლილებას. მე-13 პუნქტის დებულება, რომელიც საწარმოს უკრძალავს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას იმ მიზნით, რომ დაიწყოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარება, ხელს არ უშლის გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ახალი ნაშთების აღიარებას, ან ცვლილებების შეტანას უკვე აღიარებულ ნაშთებში, რაც გამოწვეული იქნება ფასს სტანდარტების

შესაბამისად განხორციელებული სააღრიცხვო პოლიტიკის სხვაგვარი ცვლილებებით. ეს იმით არის განპირობებული, რომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარება ამგვარ დროით განსხვავებებთან მიმართებით შესაბამისობაში იქნება აღიარების არსებულ პოლიტიკასთან, რომელიც გამოიყენება მე-11 პუნქტის შესაბამისად და არ იქნება ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის შემოღება. ანალოგიურად, მე-13 პუნქტი არ კრძალავს ისეთი დროითი განსხვავებებიდან წარმოშობილი გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარებას, რომლებიც არ არსებობდა უშუალოდ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე, მაგრამ შეესაბამება მე-11 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკას (მაგალითად, სტიქიური უბედურებით გამოწვეული დანახარჯები).

## სხვა ფასს სტანდარტების გამოყენება

ბ7. საწარმომ, რომელიც განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს და გადაწყვეტს მისი მოთხოვნების გამოყენებას, უნდა გააგრძელოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტისთვის. თუმცა, მე-16-17 პუნქტებში აღნიშნულია, რომ, ზოგიერთ სიტუაციაში, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებთან მიმართებით, შეიძლება ასევე აუცილებელი იყოს სხვა სტანდარტების გამოყენებაც, რათა ეს ნაშთები სათანადოდ აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. მომდევნო პუნქტებში აღწერილია სხვა სტანდარტების ურთიერთკავშირი წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან. კერძოდ, ახსნილია სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაში დაშვებული გამოწვევები, ან სხვა სტანდარტების მოთხოვნების შესრულებისგან განთავისუფლება, ასევე დამატებითი მოთხოვნები ინფორმაციის წარდგენისა და გამჟღავნებისთვის, რომლებიც, სავარაუდოდ, შესაფერისი იქნება ამ ნაშთებისთვის.

### ბასს 10-ის – „საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“ – გამოყენება

ბ8. საწარმოს შეიძლება მოუწიოს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარებისა და შეფასების დროს. ისეთ მოვლენებთან მიმართებით, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღს შორის პერიოდში, საწარმომ უნდა გამოიყენოს ბასს 10 იმის დასადგენად, აუცილებელია თუ არა ამ შეფასებებისა და დაშვებების კორექტირება, ამგვარი მოვლენების ასახვის მიზნით.

### ბასს 12-ის – „მოგებიდან გადასახადები“ – გამოყენება

ბ9. ბასს 12 მოითხოვს, რომ, გარკვეული მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საწარმომ აღიაროს გადავადებული საგადასახადო ვალდებულება და (გარკვეულ პირობებში) გადავადებული საგადასახადო აქტივი, ყველა დროებით სხვაობასთან მიმართებით. სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებულმა საწარმომ ბასს 12 უნდა გამოიყენოს მის მიერ განხორციელებულ ნებისმიერი სახის საქმიანობასთან მიმართებით, მათ შორის სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის მიმართ, რათა დაადგინოს მოგების გადასახადის ოდენობა, რომელიც უნდა აღიაროს ანგარიშგებაში.

ბ10. სატარიფო რეგულირების ზოგიერთ სქემაში ტარიფების მარეგულირებელი ორგანო საწარმოს უფლებას აძლევს ან ავალდებულებს, რომ გაზარდოს მომავალი ტარიფები საწარმოს მოგების გადასახადის ხარჯის ნაწილობრივ ან მთლიანად ანაზღაურების მიზნით. ასეთ შემთხვევებში, მე-11-12 პუნქტების მიხედვით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეიძლება მოუწიოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთის აღიარება მოგების გადასახადთან დაკავშირებით. გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ამგვარი ნაშთის აღიარებამ, რომელიც დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, შეიძლება თავისთავად გამოიწვიოს დამატებითი დროებითი სხვაობა, რომელთან მიმართებაშიც აღიარდება გადავადებული გადასახადის დამატებითი თანხა.

ბ11. ინფორმაციის წარდგენასა და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებასთან დაკავშირებული ბასს 12-ის მოთხოვნების მიუხედავად, როდესაც საწარმო აღიარებს გადავადებულ საგადასახადო აქტივს, ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების შედეგად, მან ამგვარი გადავადებული გადასახადის თანხა არ

უნდა ჩართოს გადავადებული საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) საბოლოო ჯამურ თანხაში. ამის ნაცვლად, საწარმომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების შედეგად წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება) უნდა წარადგინოს ან:

- ა) ანგარიშგების ისეთ მუხლებთან ერთად, რომლებიც წარდგენილია გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო და საკრედიტო ნაშთების საჩვენებლად; ან
- ბ) ცალკე მუხლის სახით, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო და საკრედიტო ნაშთების მახლობლად.

ბ12. ანალოგიურად, როდესაც საწარმო აღიარებს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების შედეგად წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) მოძრაობას, მან ამგვარი გადავადებული საგადასახადის მოძრაობის თანხა არ უნდა ჩართოს საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) მუხლის შემადგენლობაში, რომელიც წარდგენილია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) ბასს 12-ის შესაბამისად. ამის ნაცვლად, საწარმომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების შედეგად წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივის (ვალდებულების) მოძრაობა უნდა წარადგინოს ან:

- ა) მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) იმ მუხლებთან ერთად, რომლებიც წარდგენილია გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობასთან მიმართებით; ან
- ბ) ცალკე მუხლის სახით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) წარდგენილ შესაბამის მუხლებთან ერთად, რომლებიც ასახავს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობას.

### **ბასს 33-ის – „შემოსავალი აქციაზე“ – გამოყენება**

ბ13. ბასს 33-ის 66-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარადგინოს ინფორმაცია აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის შესახებ, როგორც უწყვეტი საქმიანობიდან მიღებული მოგების ან ზარალის, ისე მშობელი საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე მისაკუთვნილებელი მოგების ან ზარალის მიხედვით. გარდა ამისა, ბასს 33-ის 68-ე პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ, რომელიც ანგარიშგებაში ასახავს შეწყვეტილ ოპერაციას, ამ შეწყვეტილი ოპერაციის მიხედვით აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია გაამჟღავნოს ან უშუალოდ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან შენიშვნებში.

ბ14. წინამდებარე სტანდარტის გამოყენებისას, ერთ აქციაზე შემოსავლის თითოეული თანხისთვის, რომელიც ბასს 33-ის შესაბამისადაა წარდგენილი, საწარმომ უნდა წარმოადგინოს აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის დამატებითი მაჩვენებლები, რომლებიც ანალოგიურად იქნება გამოთვლილი, იმ განსხვავებით, რომ არ უნდა მოიცავდეს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების წმინდა მოძრაობას. ბასს 33-ის 73-ე პუნქტის შესაბამისად, საწარმომ წინამდებარე სტანდარტის 26-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია აქციაზე შემოსავლის შესახებ ისეთივე თვალსაჩინოებით უნდა წარადგინოს, როგორც წარადგენს ბასს 33-ით მოთხოვნილ ინფორმაციას აქციაზე შემოსავლის შესახებ ყველა წარდგენილი პერიოდისთვის.

### **ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“ – გამოყენება**

ბ15. მე-11-12 პუნქტების მიხედვით, საწარმომ უნდა გააგრძელოს მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის აღიარებული ნაშთების განსაზღვრის, აღიარების, შეფასებისა და გაუფასურების აღდგენის მიმართ. მაშასადამე, ბასს 36 არ გამოიყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშში აღიარებული ცალკეული ნაშთის მიმართ.

ბ16. თუმცა, ბასს 36 შეიძლება მოითხოვდეს, რომ საწარმომ ჩაატაროს ისეთი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ტესტი, რომელიც მოიცავს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებს. ამგვარი ტესტის ჩატარება შეიძლება იმიტომ მოითხოვებოდეს, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული მოიცავს გუდვილს, ან იმიტომ, რომ ბასს 36-ში აღწერილი გაუფასურების ერთი ან მეტი ნიშანი გამოვლინდა ფულადი სახსრების წარმომ-

ქმნელ ერთეულთან დაკავშირებით. ასეთი სიტუაციებისთვის ბასს 36-ის 74-79-ე პუნქტები შეიცავს მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ საწარმომ დაადგინოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი და საბალანსო ღირებულებები. საწარმომ გაუფასურების ტესტის ჩატარებისას ეს მოთხოვნები უნდა გამოიყენოს იმის დასადგენად, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულებაში ჩართულია თუ არა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშში აღიარებული ნაშთები. შემდეგ საწარმომ უნდა გამოიყენოს ბასს 36-ის დანარჩენი მოთხოვნები გაუფასურების ზარალის მიმართ, რომელსაც აღიარებს ზემოაღნიშნული ტესტის ჩატარების შედეგად.

### **ფასს 3-ის – „საწარმოთა გაერთიანება“ – გამოყენება**

- ბ17. ფასს 3-ის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ამა თუ იმ საწარმოს მყიდველი საწარმო შეძენილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს აღიარებს შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით. ფასს 3 ითვალისწინებს შეზღუდულ გამონაკლისებს სტანდარტით დადგენილი აღიარებისა და შეფასების პრინციპების გამოყენებაში. წინამდებარე სტანდარტის ბ18 პუნქტი დამატებით ითვალისწინებს სხვა გამონაკლისს.
- ბ18. მე-11-12 პუნქტებით საწარმოს ევალეზა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გაგრძელება, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის მიმართ. მაშასადამე, თუ საწარმო იძენს სხვა საწარმოს, მან თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გამოიყენოს მე-11-12 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა შეძენილი საწარმოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარებისა და შეფასებისთვის შეძენის თარიღისთვის. მყიდველი საწარმოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთები უნდა აღიარდეს მყიდველი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მყიდველი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, იმის მიუხედავად, შეძენილი საწარმო აღიარებს თუ არა ამ ნაშთებს თავის ფინანსური ანგარიშგებაში.

### **ფასს 5-ის – „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ – გამოყენება**

- ბ19. მე-11-12 პუნქტების მიხედვით, საწარმომ უნდა გააგრძელოს ადრინდელი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის მიმართ. აქედან გამომდინარე, საწარმომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის აღიარებული ნაშთების მიმართ არ უნდა გამოიყენოს ფასს 5-ში განსაზღვრული შეფასების მოთხოვნები.
- ბ20. ფასს 5-ის 33-ე პუნქტი მოითხოვს, რომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ერთი თანხა იყოს წარდგენილი შეწყვეტილი ოპერაციებისთვის. ამ პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, თუ საწარმო გადაწყვეტს წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას და მას ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს შეწყვეტილი ოპერაცია, ამ საწარმომ ფასს 5-ის 33-ე პუნქტით მოთხოვნილი მუხლის შემადგენლობაში არ უნდა ჩართოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობა, რომელიც გამოიწვია სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებამ შეწყვეტილი ოპერაციის ფარგლებში. ამის ნაცვლად, საწარმომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობა, რომელიც გამოიწვია სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებამ შეწყვეტილი ოპერაციის ფარგლებში, უნდა წარადგინოს ან:
- ა) გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის იმ ნაშთებთან მიმართებით წარდგენილი მუხლის შემადგენლობაში, რომლებიც დაკავშირებულია მოგებასთან ან ზარალთან; ან
  - ბ) როგორც ანგარიშგების ცალკე მუხლი, შესაბამის მუხლთან ერთად, რომელიც ეხება მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებული გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მოძრაობას.
- ბ21. ანალოგიურად, ფასს 5-ის 38-ე პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, თუ საწარმო ანგარიშგებაში წარადგენს გამსვლელ ჯგუფს, მან ფასს 5-ის 38-ე პუნქტით მოთხოვნილი ანგარიშგების მუხლების შემადგენლობაში არ უნდა ჩართოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთებისა და საკრედიტო ნაშთების ჯამური თანხა, რომელიც გამსვლელი ჯგუფის

ნაწილია. ამის ნაცვლად, საწარმომ გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთებისა და საკრედიტო ნაშთების ჯამური თანხები, რომლებიც გამსვლელი ჯგუფის ნაწილია, უნდა წარადგინოს ან:

- ა) ანგარიშების იმ მუხლების შემადგენლობაში, რომლებიც წარდგენილია გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სადებეტო ნაშთებისა და საკრედიტო ნაშთების საჩვენებლად; ან
- ბ) როგორც ანგარიშების ცალკე მუხლები, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის სხვა სადებეტო ნაშთებისა და საკრედიტო ნაშთების გვერდით.

ბ22. თუ საწარმო გადაწყვეტს გამსვლელ ჯგუფთან ან შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებისა და ამ ნაშთების მოძრაობის ჩართვას გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის შესაბამისი მუხლების შემადგენლობაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს მათ შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება განცალკევებით, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის მუხლების ანალიზის ფარგლებში, წინამდებარე სტანდარტის 33-ე პუნქტის შესაბამისად.

**ფასს 10-ისა – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 28-ის – „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ – გამოყენება**

ბ23. ბასს 10-ის მე-19 პუნქტი მოითხოვს, რომ „მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და მსგავს ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ“. წინამდებარე სტანდარტის მე-8 პუნქტის მიხედვით, საწარმომ, რომელიც განეკუთვნება ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს და გადაწყვეტს მის გამოყენებას, უნდა გამოიყენოს სტანდარტის ყველა მოთხოვნა გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ყველა ნაშთის მიმართ, რომელიც წარმოიქმნება სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოს ნებისმიერი საქმიანობის შედეგად. მამასადამე, თუ მშობელი საწარმო თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად აღიარებს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებს, მან ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ყველა თავის შვილობილ საწარმოში წარმოშობილი გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების მიმართ. ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს იმის მიუხედავად, თავად შვილობილი საწარმოები აღიარებენ თუ არა ამ ნაშთებს თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ24. ანალოგიურად, ბასს 28-ის 35-36-ე პუნქტები მოითხოვს, რომ წილობრივი მეთოდის გამოყენების დროს, „საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებული უნდა იყოს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური სამეურნეო ოპერაციებისა და მსგავს გარემოებებში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ“. მამასადამე, წილობრივი მეთოდის გამოყენების დროს, აუცილებელია გარკვეული კორექტირებები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების, შეფასების, გაუფასურებისა და აღიარების შეწყვეტის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იმ სააღრიცხვო პოლიტიკასთან, რომელსაც იყენებს ინვესტორი საწარმო.

**ფასს 12-ის – „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ – გამოყენება**

ბ25. ფასს 12-ის 12(ე) პუნქტი მოითხოვს, რომ ანგარიშვალდებულმა საწარმომ თითოეული შვილობილი საწარმოსთვის, რომლის არამაკონტროლებელი წილი არსებითია ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, გაამჟღავნოს ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებული მოგების ან ზარალის შესახებ. საწარმომ, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად აღიარებს გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებს, უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების წმინდა მოძრაობის შესახებ, რომელიც ჩართული იქნება ფასს 12-ის 12(ე) პუნქტის შესაბამისად გასამჟღავნებელი თანხების შემადგენლობაში.

ბ26. ფასს 12-ის 12(ზ) პუნქტი მოითხოვს, რომ ანგარიშვალდებულმა საწარმომ თითოეული შვილობილი საწარმოსთვის, რომლის არამაკონტროლებელი წილი არსებითია ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, გაამჟღავნოს კრებსითი ფინანსური ინფორმაცია შვილობილი საწარმოს შესახებ, ფასს 12-ის ბ10 პუნქტის შესაბამისად. ანალოგიურად, ფასს 12-ის 21(ბ) (ii) პუნქტი

მოითხოვს, რომ თითოეული ერთობლივი საწარმოსა და მეკავშირე საწარმოსთვის, რომელიც არსებითია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, საწარმომ გაამყავნოს კრებსითი ფინანსური ინფორმაცია ფასს 12-ის ბ12-ბ13 პუნქტების შესაბამისად. ფასს 12-ის ბ16 პუნქტში კონკრეტულად მითითებულია ის კრებსითი ინფორმაცია, რომლის გამყავნებაც საწარმოს ევალება ფასს 12-ის 21(გ) პუნქტის შესაბამისად, ყველა სხვა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შესახებ, რომელიც ცალ-ცალკე არსებითი არ არის ანგარიშვალდებული საწარმოსთვის.

- ბ27. იმ ინფორმაციის გარდა, რომელიც მითითებულია ფასს 12-ის მე-12, 21-ე, ბ10, ბ12-ბ13 და ბ16 პუნქტებში, საწარმომ, რომელიც გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთებს აღიარებს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, დამატებით უნდა გაამყავნოს ინფორმაცია გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ჯამური სადებეტო ნაშთის, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ჯამური საკრედიტო ნაშთისა და ამ ნაშთების წმინდა მოძრაობის შესახებ თითოეული საწარმოს მიხედვით, რომლის შესახებაც მოეთხოვება ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამყავნება ფასს 12-ის შესაბამისად. ამასთან, ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები მოგების ან ზარალის შემადგენლობაში აღიარებული თანხები და სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში აღიარებული თანხები.
- ბ28. ფასს 12-ის მე-19 პუნქტში მითითებული ინფორმაცია, რომლის გამყავნებაც საწარმოს მოეთხოვება იმ შემთხვევაში, თუ შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვასთან დაკავშირებით აღიარებს შემოსულობას ან ზარალს, რომელიც გამოთვლილია ფასს 10-ის 25-ე პუნქტის შესაბამისად. იმ ინფორმაციის გარდა, რომლის გამყავნებაც მოითხოვება ფასს 12-ის მე-19 პუნქტის შესაბამისად, საწარმომ, რომელიც გადაწყვეტს წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას, კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის დამატებით უნდა გაამყავნოს ინფორმაცია ზემოაღნიშნული შემოსულობის ან ზარალის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მიეკუთვნება ყოფილ შვილობილ საწარმოში გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშის ნაშთების აღიარების შეწყვეტას.

## დანართი გ

### ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

*მოცემული დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

#### ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

---

##### ძალაში შესვლის თარიღი

- გ1. საწარმომ წინამდებარე ფასს სტანდარტი იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, თუ ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს, რომელიც იწყება 2016 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ნებადართულია ვადამდელი გამოიყენება. თუ საწარმო წინამდებარე სტანდარტს იყენებს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც უფრო ადრინდელ პერიოდს მოიცავს, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.